

5. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

- 2003 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის _ 11X11 მთელ მოედანზე (კარის ზომა 7.32X2.44).
- 2004 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის --- 9 X 9 60 X 40 მ. (5X2).
- 2005 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის-----9 X 9 60 X 40 მ. (5X2).
- 2006 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის-----9 X 9 60 X 40 მ. (5X2).
- 2007 წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის-----9 X 9 60 X 40 მ. (5X2).
- 2008 წ. დაბადებულ ჭაბუკებში შორის-----7 X 7 40 X 25 მ. (3X2).
- 2009 წ. დაბადებულ ჭაბუკებში შორის-----7 X 7 40 X 25 მ. (3X2).

11X11 მოთამაშე გუნდებისათვის მოედნის მინიმალური სიგანეა 45 მეტრი, მინიმალური სიგრძე - 90 მეტრი.

6. მსაჯობა

6.1 აღნიშნულ ჩემპიონატებს მოემსახურებიან სფფ-სა და თფფ-ს მიერ რეკომენდირებული მსაჯები. მათი მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს თფფ. რეგიონის გუნდები ანაზღაურებენ მსაჯების ტრანსპორტირების ხარჯებს.

6.2 მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილების და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით, დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით და ამის შესახებ 24 საათის განმავლობაში თფფ-ში წარადგინოს მოხსენებითი ბარათი საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებით (მსაჯის მოხსენებით ბარათს თან უნდა ერთვოდეს გაძევებული ფეხბურთელის მონაწილის ბარათი), ხოლო მატჩის დროს მომხდარი საგანგებო შემთხვევის შესახებ მსაჯმა იმავე დღეს უნდა აცნობოს თფფ-ს ტელეფონით;

6.3 ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის საკითხს წყვეტს თამაშის მთავარი მსაჯი;

6.4 მსაჯი ვალდებულია, თამაშის დამთავრებისთანავე ჩამტარებელ ფედერაციას აცნობოს თამაშის შედეგი. მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაეხმარონ მსაჯს ამ საქმეში;

6.5 მსაჯი ვალდებულია, თამაშის ოქმში გააფორმოს გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს ჩამტარებელ ფედერაციას.

6.6 მსაჯები ვალდებული არიან მატჩის დაწყების წინ ყველა ფეხბურთელი შეამოწმონ მინდორზე ბარათზე აღნიშნული სურათის მიხედვით. ცვლილებების დროს ასისტენტი ვალდებულია შემომსვლელ ფეხბურთელს მოთხოვოს პირადი ბარათი.

6.7. 2003 - 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკებში დამკვირვებლები დაინიშნება საჭიროებისამებრ. ასევე საჭიროებისამებრ თფფ-ს შეუძლია მატჩებზე მიავლინოს საზოგადოებრივი დამკვირვებლები.

6.8. 2008 და 2009 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის ტურნირებზე ნებადართულია მეკარის ხელით თამაში პარტიორისგან მიღებულ ბურთზე.

6.9. მსაჯი ვალდებულია, მატჩის ოქმი მეორე დღეს წარმოადგინოს თფფ-ში.